№ 95 მაისი 5, შაბათი — 1890 — მაისი 5, შაბათი № 95

# ივერია

1877—1890 — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1890

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

სოფიო ბერიძისა, სალომე გელაზაროვისა, ალექსანდრე მირაქოვი, მარგარიტა მირაქოვისა და ანნა გელაზაროვისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავეთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პ ირველი—შვილის-შვილისას, მეორე—თავის ქალისას, მესამე—მეუღლის დისას, მეოთხე და მეხუთე—თავიანთ დისას მარიამ სტეფანის ასულის გელაზაროვისას. სთხოვენ პატივი სცენ და დაესწრონ დასაფლავებას განსვენებულისას, დღეს 5 მაისს, შუა ბაზარში ღვთის-მშობლის კათოლიკეთა ეკკლესიაში, საათის 10-ზედ.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

კვირას, 6 მაისს,

ქართულ თეატრის ბაღში

სათავად-აზნაურო ბანკის (არწრუნისეულ) ქარვასლაში დანიშნულია

## სეირნობა

და

## ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება 12 საათზე. სასეირნოდ, გარდა ქარვასლისა, ღია იქნება თეატრი და თეატრის ბაღი. შესასვლელი ბილეთი ეღირება 20 კაპ.

დაწვრილებით ცნობები აფიშებში იქნება გამოცხადებული.

გაზ. [illegible]-ს რედაქციისაგან.

გაზეთის გამოცემა მინდობილი ჰქონდა ბ-ნს შიო დავიდოვს. სხვა-და სხვა მხრიდგან საჩივარი გვესმოდა ხელის მომწერლებისაგან, რომ გაზეთი ან სულ და ან თავის დროზე არ მოგვდისო. ამ გარემოებამ ჩემსა და ხსენებულს შ. დავიდოვს შორის გამოიწვია საქმის გამორკვევა მედიატორულის წესითა და ამისათვის გაზეთის ბეჭდვა დროებით შეჩერდა. ამ მოკლე ხანში გაზეთის ბეჭდვა ხელ-ახლად დაიწყობა ახალისა და ძველის თანამშრომლების მონაწილეობით, და ყველას ვისაც-კი გაზეთი მისდიოდა დაუბრკოლებლად, გაეგზავნება თავ-თავის დროზე. ამასთანავე ვთხოვთ, ვისაც რომელიმე ნომერი არ მისვლია, დაუყოვნებლივ აცნობოს რედაქციას.

(3—1) ა. ნებიერიძე

ვინც ნივთების შემოწირვას ისურვებს

„წერა-კითხვის საზოგადოების“

ლატერია-ალეგრისათვის,

ვთხოვთ კეთილ-ინებოს და გამოგზავნოს შემოწირულება კნეინა ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის სახელობაზე (კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ თ. გრუზინსკისეულის სახლებში).

ტფილისი, 4 მაისი

ის კაცი, რომელზედაც წინა წერილში შევწყვიტეთ საუბარი, გახლდათ ტფილისის გუბერნატორი ტაინი სოვეტნიკი კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი. სწორედ ეს პატივცემული ადმინისტრატორი და არავინ სხვა უნდა ჩაითვალოს დამაარსებლად ჩვენს სოფლებში პურის მაღაზიებისა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ბუნება უხვია, მდიდარია, ყოველი ნაწარმოები მოდის უხვად და ბლომად, მაგრამ აქაც ხანდახან მდიდარი და მომცემი ბუნება ინადს გასწევს ხოლმე და ხან რომელ კუთხეს ჩვენის ქვეყნისას დააზარალებს და ხან რომელს. მართალია, როგორც უკვე ზემოდ მოვიხსენიეთ, ჩვენში არ მოხერხდება იმ გვარი მოუსავლობა და შიმშილი, როგორც ეწვია რუსეთს თუნდა 1833 წელს, მაგრამ აქაც როდესაც-კი გაჩნდება, დიდს ზიანს და ზარალს აძლევს მკვიდრთა. მერე უგზოობა ხომ კიდევ უფრო უცარავს ხელს კაცს, დროზედ მიეშველოს დაზარალებულთ [illegible] საც ერევნის გუბერნიაში 1879 წ. დიდი შიმშილობა იყო, მთავრობას სურდა მიეწოდებინა ერევნისთვის რუსეთის პური; ტფილისიდგან პურის გადაზიდვა-კი ისე ძვირად ჯდებოდა, რომ ერევანში ფუთი პური შვიდ მანათამდე ავიდა.

1869 წელს პური არ მოვიდა სიღნაღის მაზრაში. ხალხი დიდად შეწუხდა და მთავრობას სთხოვდა შველა-დახმარებას. მთავრობა-კი ყოველ წელიწადს მარტო იმდენ პურს ამზადებს, რამდენიც საჭიროა მის საჭიროებისათვის, ე. ი. ჯარებისთვის. ასე რომ მთავრობა ძვირად გაიმეტებს საინტენდანტო საწყობებიდგან შენახულ პურს, თუ მეტის-მეტად არ გაუჭირდა ხალხს. ამისთვის სიღნაღელებს უარი ეთქვა მაშინ, პური ვერ გასესხებთო. მთავრობამ მარტო, 1879 და 1880 წლებში რომ შიმშილი იყო, მაშინ მისცა ხალხს სესხად პური და დღესაც ვერ შეუკრებია ეს მაშინდელი გასესხებული.

სწორედ ამ გვარმა გარემოებამ აიძულა გუბერნატორი ორლოვსკი, დაეარსებინა ჩვენს სოფლებში-ც პურის მაღაზიები, რომ ხალხს გაჭირებაში ჰქონოდა თავისი საზრდო და მუდამ მთავრობის ხელშემაცქერალი არა ყოფილიყო. უმაღლესის მთავრობის დაუკითხავად 6 აპრილს 1870 წელს ორლოვსკიმ გაჰგზავნა ყველა მაზრის უფროსებთან მეხანიშნავი ცირკულარი და უხსნიდა, რა დიდ მნიშვნელობიანი საქმეა პურის მაღაზიების დაარსება სოფლებშიო. ამიტომ მოგიწერთ: მიაქციეთ ყოველი თქვენი ღონის-ძიება ამ უპირველესის მნიშვნელობის საქმესაო. ამასთანავე ორლოვსკიმ გაუგზავნა სოფლის საზოგადოებათა „დარიგება“, თუ როგორ მო[illegible]ეის მართვა, როგორ შეაგროვონ პური, რამდენი ფუთი ჰკრიფონ თითო სულზე, როგორ ინახონ, როგორ აძლიონ სესხად, ვის ჩააბარონ მისი გამგეობა და სხვა. ორლოვსკიმ დაავალა მაზრის უფროსებს და მომრიგებელ შუა კაცთა, თქვენ თითონ მოიარეთ სოფლები, წაუკითხეთ ხალხს „დარიგება“, და აუხსენით, რა დიდ სარგებლობას მოუტანს გაჭირვების დროს ხალხს, თუ-კი შინვე, თავის სოფელში ექნებათ შენახული პური, რომელსაც თესლადაც გამოიყენებს და საზრდოთაც და რომლის გადახდაც მისთვის ძალიან ადვილი იქნება მოსავლიან წელსაო.

იმ დიდ საქმეებიდგან, რომელიც ჩვენ ხელთა გვქონდა ამ მცირე წერილების შესადგენად, სჩანს, რომ გუბერნატორ ორლოვსკის ხუმრობა არ ჰყვარებია და ხასიათითაც ძალიან მტკიცე, სასტიკის ხასიათისა ყოფილა. საზოგადოდ ძველ დროში გუბერნატორები დიდ თავაზიანობას არ იჩენდნენ თავიანთ მოხელეების წინაშე. ალბად ჰგრძნობდნენ ამას მაშინდელი მაზრის უფროსნი და ერთგულად შეუდგნენ მაღაზიების დამართვას. მხოლოდ ყარაიაზზე, თრიალეთში და გორის მაზრაში რიგიანად ვერ მიდიოდა საქმე. მთელის ექვსის წლის განმავლობაში, თავის სიკვდილამდე, ორლოვსკი სცდილობდა საფუძვლიან ნიადაგზე დაეყენებინა ეს საქმე, რომ ხალხს შეჰყვარებოდა თავისი მაღაზია, რომ მაღაზიას პირიანად აესრულებინა თავისი პირდაპირი დანიშნულება—ხალხის გამოკვება შიმშილობაში, მაგრამ არ იქნა, რიგიანად ვერ წავიდა ეს დაწყობილება.

ორლოვსკის [illegible] და თავადი გაგარინიც არ აკლებდნენ ყურადღებას, მაგრამ საქმე თუ უკან არ მიდიოდა, წინ მსვლელობა არ ეტყობოდა.

პურის მაღაზიების ახლანდელი მდგომარეობა ხომ სწორედ სამწუხაროა. არსად პური, არსად ხეირიანი შენობა და გამგებლობა. მთელ ტფილისის გუბერნიაში ახლა ითვლება 351 პურის მაღაზია, პური-კი მარტო 124,382 ფუთია და გასესხებული 360,753 ფუთი. უნაკლულოდ-კი რომ ეგროვებინათ და ენახათ, ახლა სამ მილიონამდე ფუთი იქმნებოდა. სულ ცოტა სამი მილიონი ფუთი პური ეღირებოდა სამი მილიონი მანათი და ეს ისეთი დიდი თანხაა, რომ შეეძლო გაბედნიერება მთელ გუბერნიის გლეხობისა.

მარტო ჩვენებურმა გერმანელებმა მოაწყეს ეს საქმე მშვენივრად. მთავრობის დაუკითხავად მათ დამართეს პურის მაღაზიები, ყოველ წელიწადს სცვლიდნენ პურს, რომ არ გაჰფუჭებოდათ და მომეტებულს ჰყიდდნენ. ამ გვარად იმო-

## ფელეტონი

### დაუსრულებელი ამბავი

ანუ

### თელაველი ოტელლო.

დრამა ოთხს მოქმედებად

(შემდეგი*)

გამოსვლა VI

დარჩო, კაკულა

დარჩო (ფესტამალს იხსნის). კაკულ, დაიჭი ფესტამალი! (ვერ გაუხსნია) კაკული, მოდი გამიხსენ! (კაკულა გამოვარდება)

კაკულა. სად მიხვალ, კაცო! (უხსნის)

დარჩო. აგე კაპლოა! შაუტია! შენი მკლავის ჭირიმე! (ხმა უსუსტდება) მაგრე, მაგრე! (წინ იწევს)

კაკულა. მაიცა, კაცო, გაგიხსნა!

(ბილითა ცდილობს) ძალზე გავიკვანძავს!

დარჩო. კაკულ, შეხე! როგორ გარბიან ძველ-გალავნელები! ჰაი, არ დაიწიოთ უკან!

გამოსვლა VII

იგინივე და იაგორა

შამოვარდება მარჯვენა მხრით უქუდო, ნაბეგვი.

იაგორა. ის ყურუმსალები ისინი! თუ ციხეში არ ჩავასმევინო, კაცი არ ვიყო! ის რაზბონიკები, ის კინტოები!

დარჩო. გარეკეს! (მობრუნდება) რა იყო, კაცო, რა მოგსვლია? სად არი შენი ქუდი? (კაკულას) კარგი, თავი დაანებე! (კაკულა დუქანში შედის)

იაგორა. ის ვირები, ბრიყვები, ის რაზბონიკები, ის-ის ჯიბგირები! მაიცათ, თუ ყველანი ციხეში არ ჩაგსხათ!

დარჩო. რა იყო, კაცო, თქვი? სად არი შენი ქუდი? დაჯექ ცოტა.

იაგორა (დაჯდება თავის ადგილას) მაიცადონ! კაცო, ჩამითრიეს იმ სამმა კინტომ კრივში და გვერდები სუ ჩამამტვრიეს! (ისინჯავს გვერდებს) მარცხენა ფერდი ძალიანა მტკივა!

დარჩო (იცინის) ცუდი საქმე დაგმართვია სწორედ; არა უშავს რა, კრივში კაცი არ მამკვდარა. სად არი შენი ქუდი?

იაგორა (ფერდს ისინჯავს) სუნთქვას მიშლის. (ისუნთქებს)

დარჩო. არა გიშავს-რა! შენი ქუდი სად არი?

იაგორა. რა ვიცი? ემანდ რიყის პირში ეგდება სადმე. (სუნთქვას ისინჯავს).

დარჩო. არა გიშავს-რა! კაკულ, მოი, ჩარექაში ღვინო ჩამოასხი და ჭიქები აკრიფე! (მიაწვდის ჩარექას; კაკულა ჭიქებს აგროვს და დუქანში შევა) ღვინო გადაჰკარ, ყველაფერი დაგავიწყდება! კაი საქმე მოგსვლია, აი! (იცინის)

იაგორა. მაშ თქვენ ოხტში არ მოვალ, პაქარნებო! (კაკულას ღვინო გამოაქვს, დარჩო დაასხამს)

დარჩო. გადაჰკარ, ესლავ გაგივლის! შენი სადღეგრძელო იყოს! (სვამს)

იაგორა. გაგიმარჯოს! (ფერდზე ხელ დადებული სვამს) ეხლა უქუდო სად წავალ?

დარჩო. კაკულას გავგზავნი, ეხლავ იპოვნის! (კაკულას) გაირბინე, რიყეზე ქუდი ეგდება იაგორასი, მაარბენინე! ხო იცნობ?

კაკულა, ჰო, ამ საათში! (გაირბენს მარჯვნივ)

დარჩო. მოი, ერთი კარგათ გადავკრათ, ყველაფერი დაგავიწყდება!

იაგორა. გადავკრათ იმათ ჯაბრზე! (ჩარექას მოიყუდებს, დიდ ხანს სვამს, მერე გადმოაბრუნებს და მძიმედ ამოისუნთქებს) დარჩო რაა? აი ღვინის სმა ასე უნდა! ვინც კიდე არ დალიოს, დედა შეერთოს ცოლათ! დარჩი, ღვინო!

დარჩო (ჩარექით შედის დუქანში) მაგრე! შახს ნუ გაიტეხ!

იაგორა (მარტო, შეზარხოშებული) მაშ თუ თვალი არ დაგიყენოთ ყველას, იაგორა არ ვიყო, მწვანე იაგორა არ ვიყო! ღვინო, ჩქარა! (დარჩო გამოდის ხელადით და ჩარექით)

დარჩო. იაგორას გაუმარჯოს (დაჯდება, შემოდის კაკულა ქუდით) მაიტა აქა! (გამოართმევს) ეს რა იაგორასია? ეს ხო პატარაა, ბიჭო!

კაკულა. რა ვიცი, მე მაგის მეტი ვერა ვნახე იქა!

იაგორა (გამოსტაცებს და დაიხურავს გიზიროკით გვერდზე) სულ ერთია! ჰადი, კაკულ, არღანი დაატრიალე! იაგორა ქეიფობს მტრის თვალის დასაბრმავებლად! (აიღებს ჩარექას) ეს მე მაცოცხლოს! (არღანი „ვაიმე დედას“ უკრავს)

დარჩო, სხვა რამე დაუკარ! (კაკულა შეაყენებს)

იაგორა. არა, მე ეგ მინდა! დაუკარ, მინდა ნუშკოს სიმღერა ვიმღერო! (კაკულა ყოყმანობს)

დარჩო. დაუკარ, რახან უნდა! (კაკულა ისევ იმას უკრავს)

იაგორა (ჩარექას დასდგამს და აჰყვება)

ვაიმე, დედავ, მეშინიან, ვაი, ვაი!
ვენოს რკინის არშინისა! ვაი, ვაი!
არტემა ხო გვერდითა მყავს, ვაი, ვაი!
დამბაჩა აქვს მაშინისა! ვაი, ვაი!

*) იხ. „ივერია“ №№ 86, 87, 88, 89, 90, 93 და 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენა თანხა შეადგინეს, რომ ასი ათასობით ფულს აძლევენ და ჰყიდულობენ მამულებს. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ გერმანელები მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში ამ 50 წლის წინად მშიერ-მწყურვალნი, ღატაკნი და იმდენი უნარი და ხერხი გამოიჩინეს, რომ ახლა ბატონურად სცხოვრობენ.

რა იყო მიზეზი, რომ კეთილმა განზრახვამ ორლოვსკისამ ვერ მოიკიდა ჩვენში ფეხი? ან ის, რაც საკვირველია, რომ ადგილობრივი მთავრობა უხერხულად, გულგრილად, უსიყვარულოდ ეკიდებოდა საქმეს და ხალხი შეაშინა, ვაი თუ ჩვენს მძიმე დაბეგრილობას კიდევ ახალი ხარჯი მოემატოსო, ან ის, რომ ჯერ ხალხს თაოსნობა აკლია და ვერ მიხვედრილა, რაა სასარგებლო მისთვის და რაა საზარალო, მაინცა და მაინც ამ საკითხის გამოცანა მიგვინდია მისთვის, ვისაც ჩვენზედ უკეთესად იცის ადგილობრივი ვითარება ამ საქმისა.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ გუდაუთიდამ (აფხაზეთშია) ბ-ნ ვ. შალიბაშვილის მიერ იქ შეგროვილი 25 მან., განსვენებულის დ. ბაქრაძის სახლობაზე დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ. იყო დღემდე 651 მან., 7 კ. შესდგა ამიანად 676 მან., 7 კ.

*** ჩვენ გვწერენ, რომ სოფ. ქარელის მემამულეს თ. იასონ დავითის ძეს ციციშვილს, რომელმაც ამას წინად რამდენიმე ათი ცალი ქართულის ძველ ხელ-ნაწერებისა შესწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, შეუძენია 26 სხვა ძველი ქართული ხელ-ნაწერები და აპირობს ეს ხელ-ნაწერებიც იმავე საზოგადოებას გადასცეს.

*** პიატიგორსკი: 29 აპრილს აქ დიდი ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა ექვსი ფიცრული დუქანი, რომელშიაც სხვა-და-სხვა საწერიმალო და წვრილი საქონელი ეწყო. ამოიწვა აგრეთვე მათ ქვემოდ ორი სარდაფი. კარგია კიდევ, რომ მოასწრეს ამოღება ორის ყუთისა, რომელშიაც თოფის წამალი ყოფილიყო.

*** იქიდამვე: ცეცხლის გაჩენის მეორე დღეს, 30 აპრილს ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი და სწორედ იმ დამწვარ დუქნების წინ ჩამოვარდა მეხი. მეხი დაეცა ერთს თათარს და იქვე სული გააფრთხობინა.

*** სუჯუნა: შესანიშნავი მარტვილის ტაძარი გასტეხეს ავაზაკებმა 1858 წელს და გაიტანეს სამი ათას მანათამდე ფული და რამდენიმე ძვირფასი საეკკლესიო ნივთი. ზოგიერთი მათ შორის, მაგალითად, ღვთის მშობლის ხატი და ორიოდე სამიტროპოლიტო მკერდის ჯვარი თვალ-მარგალიტითა და ძვირ-ფასის ქვებით მოჭედილი და მინანქრიანი ამ დღეებში უპოვია ბლალოჩინს მღვდელს თომა გოშუას ზუგდიდის მაზრაში და 23 იმ თთვეს წარუდგენია ყოვლად-სამღვდელოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლისთვის, რომელიც მაშინ აქ ბრძანდებოდა. ნაპოვნი ნივთები, როგორც ამბობენ, დიდად შესანიშნავია ისტორიისა და არხეოლოგიისათვის.

*** „მშაკის“ რედაქტორის ბატონ გრიგოლ არწრუნის 25 წლის მწერლობის დღესასწაულს ტფილისის სომხობა ხდილობს კვირას, მაისის 6 სადილის გამართვით. სადილი იქნება ტფილისის სობრანიეს ბაღში, კუკიაში. „ნოვოე ობოზრენიაში“ სომხურად განცხადებაა დაბეჭდილი: ვისაცა სურს სადილზე დასწრება „ალბიურის“ რედაქციაში, წატუროვის მაღაზიაში და ტფილისის სობრანიეში შეუძლია ჩაეწეროს შაბათს მაისის 5 სამ საათამდე.

*** ჯავახეთი: უნუგეშო წელიწადი იყო შარშანდელი წელიწადი ჯავახეთათვის. წასვლა მისი და აღარ მოსვლა. აქაურის გლეხკაცობის ცხოვრება პურია და უხვადაც მოდიოდა წინად აქ პური. მაგრამ ამ ბოლოს დროს როგორღაც თანდათან იკლო. შარშან ხომ სულ ბოლოო მოგვიღო: შუათანაზედ კიდევ ბევრად ნაკლები მოსავალი იყო. რასაც სამი ურემი ძნა ადიოდა და 15—16 კოდი გამოდიოდა წინად, შარშან 5—6-ზე მეტი კოდი აღარ გამოსულა. რაც მოვიდა, ისიც უნასი, ჩიტის ენასავით ფშიტი, შვრია, შავ-შავა ნარევი. მოუსავლობას სიძვირე მოჰყვა. სომარი ქერი (16 კოდი) წინად იყიდებოდა 5—6 მან., ეხლა ფასობს 12—14 მან. სომარი პური [illegible]—10 მან. ეხლაკი 22—24 მან ავიდა. მოუსავლობამ შეამცირა ერთი საყურადღებო წარმოებაც ჯავახთა: კვება და გასუქება საქონლისა და ყიდვა ქალაქ ადგილებში. რაკი საორი არ მოვიდა, საქონლის საკვები, თივა-ბზეც გაწყვა. სოფელი არ იყო, რომ 20 სული საქონელი და 20 ცხენი მაინც არ გამოეკვება ზამთარში გაზაფხულზე გასასყიდად. შარშან-კი ამასაც მოაკლდა გლეხი. ავადმყოფობაც ხშირი იყო აქედ წარსულს ზამთარს. უფრო გახშირებული იყო საოფლე ანუ სახადი, ინფლუენცია და შემდეგ მცირედ ყვავილიც. საქონლის ჭირმა დიდი ზარალი მისცა ჩვენს ქვეყანას: სალა-კი გაჩნდა, სინსილა გააწყო საქონლისა.

*** გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი სწერს: „მინისტრთა კომიტეტის ერთს მახლობელს კრებაზედ განიხილავენ ფრიად საყურადღებო პროექტს კავკასიის მთავარ-მართებლის თ. დონდუკოვ-კორსაკოვისას. ამ პროექტში ანუსხულია ყოველივე ღონის-ძიება, რომელიც შავის ზღვის ოლქის სანაპიროების მოსაწყობად უნდა იქმნას ნახმარი. ამ ღონის-ძიებებში უმთავრესად იმასა აქვს ყურადღება მიქცეული, რომ: 1) კვლავ გაყვანილი იქმნას ახალი რკინისა და სხვა გზები; 2) მიწები გაიმიჯნოს; 3) გადადებული იქმნას მიწა ახლად გადასახლებულთათვის და 4) საბოლოოდ გადაწყდეს ის საქმე, თუ ვინ უნდა დაასახლონ ამ ადგილებში. პროექტი ამბობს, რომ გადასახლებულთ უნდა მიეცეთ 250,000 დესეტ. მიწა ყველა ის ადგილები, რომელიც შესამუშავებლად გამოსაყენებელიაო. ამასთან ამ ადგილებში უცხო ტომის ხალხი არ უნდა დაუსახლოთ, მაგალითებრ ბერძენი, ჩეხი, გერმანელი, მთიული, სომეხი და სხ. რადგან უცხო ტომისა იქ ახლაც 6% მდე მკვიდრობსო. სასურველი იქნებოდა, რომ, ამ ადგილებში დაგვებინავებინა შავისა და აზოვის ზღვის ჩრდილოთ სანაპიროების მკვიდრნი, დონბრუჯინის ნეკრასოველები, ყუბანის ოლქის მკვიდრნი (არა ყაზახნი) და ნიჟეგოროდისა, ვორონეჟისა და სხვა შიდა გუბერნიების ბაღის გაშენების მცოდნენი.

*** მაისის 4, ღამით, პოლიციის მეცხრე ნაწილში გამოცხადდა სათადარიგო ჯარის კაცი ივან მორგენოვი და ითხოვა, რომ ღამე აქ გამათევინეთო. პოლიციამ ნება მისცა სატუსაღოში დაძინებისა. იქ ამ კაცს ფანჯრის რკინის ბადეზე ქამარი ჩამოება და თავი ჩამოერჩო.

*** მაისის 3, ღამის ორ საათზე, ნორიის ქუჩაზე, ბორიკოვის სახლთან იპოვნეს ხუთის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

### ვენახების წამლობის შესახებ ტფილისის გუბერნიაში

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა ყრილობას რომ კარგი აზრი მოუვიდა და ბანკის მონაგებიდგან ვენახის წამლობისთვის 5000 მანეთი გადადო, ეს ეჭვ გარეშეა, მაგრამ გადადებულს ფულს ისე [illegible], რომ, რაც შეიძლება, მეტი სარგებლობა მოეტანა.

ამისთვის ამოირჩიეს ცალკე კომისია, რომელმაც გადასწყვიტა ტფილისის გუბერნიის ყოველის მაზრიდგან თითო კაცი გაეგზავნა ბ-ნ ინანაშვილთან, რომ შემთხვევა ჰქონოდათ შეესწავლათ წრეულობით წამლობის ხერხი და მომავალისთვის შესძლებოდათ ვენახების წამლობის წინ ძღოლა. შრომისთვის ბ-ნ ინანაშვილს დაუნიშნეს თთვეში 100 მანეთი და სხვებს, თითოს 45 მანეთი და გზის ხარჯი, კარგი და პატიოსანი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი ინანაშვილი ისე გაწურთვნის იმათ, რომლებიც მასთან იქნებიან გაგზავნილი, რომ მომავალში ისინი თითოს შესძლებენ წამლობის წინ-ძღოლას, მაგრამ ეს საკმარისია?

ჩვენ გვგონია რომ არა. ვენახის წამლობა ისეთი რთული საქმე არ არის, (და არც ისეთი მარტივია, როგორც ბევრს ჰგონია) რომ მის შესწავლას კაცი (მეტადრე თუ ინტელიგენტია) მთელს 4—5 თთვეს მოუნდეს. ამისათვის 2 კვირაც საკმარისია: მაშასადამე, რის მაქნისი იქნება ამ 2 კვირის შემდეგ იმ კაცების ყოფნა ბ-ნ ინანაშვილთან, რომლებიც კომისიის გადაწყვეტილობით მთელი ზაფხული მასთან უნდა დარჩნენ.

თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ისინი ბ-ნ ინანაშვილის ხელმძღვანელობით ვენახებს უწამლებენ, მაშინ არც ის უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ რომ ბ-ნ ინანაშვილს უნდა ჰყავდეს საზოგადოებისაგან დანიშნული თავისი თანაშემწენი, რომელნიც მარტონიც გასწვდებიან ბაკურციხის ვენახების წამლობას და კიდევაც რომ არ გასწვდნენ, მარტო ბაკურციხე არ შეადგენს ტფილისის გუბერნიას. მაშასადამე, ყოველივე ღონისძიება უნდა გვეხმარა, რომ სხვაგანაც მომხდარიყო წამლობა.

ასეა თუ ისე, ეს ექვსი კაცი, რომელთათვისაც სულ უკანასკნელი 1500 მანეთი დაიხარჯება და რომელნიც ბ-ნ ინანაშვილთან იქნებიან გაგზავნილნი, $5^1/_2$ თვის განმავლობაში წამლობის შესწავლას მოუნდებიან და გაკეთებით თვალ საჩინოს არას გააკეთებენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი და უფრო სასარგებლოც იქნებოდა, რომ ეს 6 კაცი ჯერ გავარჯიშებულიყვნენ წამლობაში — ამას, როგორც ვთქვით, 2 კვირა უნდა — და მერე სხვა-და-სხვა მაზრებში გაგზავნილიყვნენ, რომ წამლობა იქ დაეწყოთ. რასაკვირველია ამათ ერთი მცოდნე და გამოცდილი ზედამხედველი უნდა ჰყოლოდათ, რათა რიგ რიგად დაეთვალიერებინა მათი ნამუშავარი.

ამ ნაირად ორი საქმე გაკეთდებოდა. ჯერ ეს ამორჩეულნი კაცნი შეისწავლიდნენ წამლობის უმთავრესს ხერხებს და მერე რამდენსამე ადგილს სამაგალითოდ იქნებოდა ნაწამლი ვენახები, რაც მეტად სასარგებლოა.

შეიძლება გვითხრან, რომ ამ ნაირად საქმის მოწყობას ბევრი დასჭირდებოდაო. ეს მართალია, მაგრამ ბევრის დახარჯვა და ბევრის გაკეთე-

---

ძმაო, ვანო, შენი ნუშო, ვაი, ვაი!
ახალ მოდნის ქალი არი: ვაი, ვაი!
ნუშოს შენ რო მოსწყენოდე, ვაი, ვაი!
არტემა რა ბრალი არი? ვაი, ვაი!
ვაი! ვაი! ვაი! ვაი!........................

ვინ მაიგონა იმ ცხონებულმა ეს სიმღერა, რა სიმღერაა? ეს იმის გამგონის სადღეგრძელო იყოს! (ჩარექით სვამს, მერე დასდგამს და მძიმედ ამოისუნთქავს) რატო არა სომ? დალიე!

დარჩო. ბევრი დამილევია! მაინც ხათრს არ გაგიტეხ! მაშ ეს სიმღერის გამგონის სადღეგრძელო იყოს! (სვამს)

იაგორა. მაგრე, მაგრე! კაკული, არღანს ცოტა მოუხშირე! (არღანი მოხშირებით უკრავს, იაგორა აჰყვება)

ვერ უყურებთ კავკაველსა, დარჩო, ამყევ! ვაი, ვაი! (დარჩო მიჰყვება ცოტა, მერე შესწყვეტს)
სახლიდამ გააგდო ქმარი! ვაი, ვაი!
ნუშოჯან, ერთი მაკოცე, ვაი, ვაი!
შენისთანა ვინ-და არი! ვაი, ვაი!
დარჩო, მამყევ! ვაი! ვაი! ვა! ვაი!....
(დარჩო აჰყვება, მერე ისევ შესწყვეტს)
არტემოჯან მომეხვიე, ვაი, ვაი!
ძეძუში ჩამიყავ ხელი, ვაი, ვაი!
ვანოსი რას გეშინია, ვაი, ვაი!
იმას ამაღამ არ ველი! ვაი, ვაი!
ვაი! ვაი! ვაი! ვაი!..

ჰაი, ჰაი; იაგორა ქეიფობს, მწვანე იაგორა ქეიფობს! მტრის თვალებო, დაბრმავდით! დარჩო, ქეიფი მიხდება, არა მაშ? ეხლა სუ უნდა ვიქეიფო, რო მტერი გავასიო!

დარჩო. მაშ, მაშ! შენისთანა ქეიფი ვის ეცოდინება თელავში? სხვასავით კრიჟანგი როდი ხარ!

იაგორა. ხელი მამე, ხელი! (კაკულას) არღანჩიკ, დაუოლნა! (კაკულა შესწყვეტს) დარჩი, შენისთანა პატიოსანი ბიჭი თელავში ერთი არ არი! მოდი ერთი პროშტი გიყო! (გადასწვდებიან და პროშტს შვრებიან) შაქრის ბაგე გაქვს, შაქრისა!

დარჩო. ღირსი არა ვარ, იაგორ, შენი მოწონებისა!

იაგორა. ჩუმათ, ძმაო, გამოცდილი კაცი ვარ, კაი კაცს ერთ დანახვაზე ვიცნობ! მაშ ეს ღმერთმა აცოცხლოს დარჩო ვარდუოვი! აილე სტაქანი! (აიღებენ და აჯახებენ) ღმერთმა მტერი დაგიბრმაოს! (პროშტს შვრებიან).

დარჩო. ღმერთმა გაგიმარჯოს! (სვამენ).

იაგორა. (სტაქანს გადმოაბრუნებს) ესე მტერი დაგეცაროს!

დარჩო. (გადმოაბრუნებს) შენც ასე; (მოისმის მარჯვენა მხრიდამ თოროზა და ჭურკალას ხმა, მღერიან:

ქერივო, შენი სულისა,
მითხარ სადა გულისა.
იაგორ, იაგორ, იაგორა,
შავ მიწაში გაგორა)!

იაგორა. (იქით) ეს წყეულები რო არ მოცდებიან! (დარჩოს) კიდევ გაბოტებინოს ყურუქსალები?

დარჩო. ჰო, ძალიან; სჯობს მოშორდე მაგათ.

იაგორა. რა ძალიან მეშინიან მაგათი! (შებინდდება თანდათან)

### გამოსვლა VIII

იგინივე, თოროზა და ჭურკალა
გამოდიან მარჯვენა მხრით სამღერით:

თოროზა. (დაინახავს იაგორას და შედგება) ვერიდებოდი ლოლოსა, დამხვდა სოფლის ბოლოსაო. ეს ვირების მამიდა რო ავ ანგელოზივით სუ წინ მეცხადება! (მიუახლოვდებიან ორნივე) იაგორ, აგრემც დავრჩები შენზე ცარიელი, აგრემც მამიკვდები აღდგომა დილას ცისკრების დარეკის დროს! აი, მეხი-კი დაგათხლიშე მაგ კროულ თავზე! (დედაკაცურად ქოქს აურის, იცინიან)

იაგორა. (მოუბრუნდება) რა გინდა, ძმაო, ჩემგან? თუ რამე მმართებს შენი და უარს გეუბნები, სულში მიჩივლე.

თოროზა. აი, ღმერთი არ გამიწყრება, კროს ფული ვასესხო! (იაგორა ზურგს შეუბრუნებს)

დარჩო. კარგი, ბიჭო, რა გინდა მაგ კაცისაგან?

თოროზა. განა შენცა?

დარჩო. დარჩო ყოველთვინ დარჩოა. ერთი საწყალი კაცია...

თოროზა. მაშ, მაშ, შიმშილისაგან კუჭი ეწვება, იმიტომ გავს კარდანაბულ ქვევრსა განა, არა? (იაგორა მოუთმენლად ტრიალებს)

ჭურკალა. (უცებ) ბიჭო, შეხე, რა ერთიბეჭო ქუდი დაუხურამს! (აცვირდებიან)

თოროზა. ბიჭოს, აჰ, აჰ, აჰ! (ხარხარებს) კაპლოას ქუდი დაუხურამს! (უხუმროდ) დარჩო, ჰურკალ, მოწამეთ იყავით ეხლავ წაველ, კაპლოას დაუძახებ, ქურდობაზე ვაჩივლინებ. (მითომ მიდის)

ჭურკალა. (დაიჭერს) დაიცა, ჯერ შეხე, ამ ქუდში რასა გავს! თავს უყურე, თავს!

თოროზა. (ხარხარებს) სწორედ რუსულ ბოლოკს მიუგავს! (ხარხარებენ, დარჩო დუქანში შედის) სად მიხვალ, დარჩო, შეხედე ამ ყვარალაყიას! (ხარხარებენ)

იაგორა. ღვთის რისხვა და მოუთმენლებელი! (წამოდგება) თქვენა გგონიათ იმ ცემას შაგარჩენთ?

თოროზა. გინდა ხელათ მეკრიე? მარჯვენა ხელი დამიბი, ცალიაც ეყოფა შენისთანა კროოს!

იაგორა. კროცა ხარ და ურიაც! უთოოთ მამა შენი იქნებოდა კრო, რო შენისთანა შექნა!

თოროზა. აი ფჩანას, ფჩანას შენი თავი! მთელს თელავს ახსოვს, პაპა შენი ძონძებში გახვეული რო მოვიდა, შენ ბებიას მამა შენი კიდევ ზურგზე გუდით ეკიდა. მამა შენი ისეთი შავი იყო, რო ქალებს დღისითაცკი ეშინოდათ იმისი, საყდარში ხო

ეროვნული ბიბლიოთეკა



...ბა სჯობია ცოტას დახარჯვას და თითქმის არაფრის გაკეთებას.

მეტად არ მიგვაჩნია, მივაქციოთ კომისიის ყურადღება იმ გარემოებას, რომ შარშან, როცა მთავრობის მეურნეებს ჰქონდათ მინდობილი ვენახების წამლობა, ასე იქცეოდნენ: ჯერ შეასწავლიდენ თავის თანაშემწეებს ვენახის წამლობას და რაკი აუჩენდნენ სამუშაოს, მერე მხოლოდ დაათვალიერებდნენ ხოლმე ხანდახან მათს ნამუშევარს.

ვ. ყ—ნი

## ბიუხნერის ლექცია

ფრანკფურტის პოლიტეხნიკურს საზოგადოებაში ამას წინად ლიუდვიგ ბიუხნერს საჯარო ლექცია წაუკითხავს სიცოცხლის სიხანგრძლივის შესახებ. თვით დოქტორი ამ ჟამად უკვე 66 წლისაა. უპირველ ყოვლისა მან გამოაცხადა თურმე, რომ, ორთა შუა რიცხვით, ქალები უფრო ხანგრძლივ სცოცხლობენ კაცებზედაო. მაგალითებრ, უკანასკნელ ხალხის აღწერიდგანა სჩანს, რომ მთელს გერმანიაში 3,330 დედაკაცი ყოფილა და კაცი კი მხოლოდ 2,055 ოთხმოცდა-ათს წელიწადს გადაცილებული. საზოგადოდ-კი 100 მამაკაცს მოხუცზედ 155 დედაკაცი მოხუცი მოდის. ერთი ენა-მახვილი ფრანგი ამტკიცებდა: დედაკაცები თუ ხანგრძლივ სცოცხლობენ, მხოლოდ იმიტომ-რომ პირს მთელი დღე არ აჩენებენ, სულ ერთთავად ლაქლაქსა და ენის ლესვაში არიან და სასუნთქი ასოები კარგადა აქვთ განვითარებულიო. ნამდვილად კი ქალები იმიტომ სძლებენ ხანგრძლივ, რომ არსებობისათვის ბრძოლა არ აწევთ ტვირთად. მსჯელობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე ისიც, რომ უცოლონი იშვიათად მიაღწევენ ხოლმე მოხუცებამდე. ვისაც დიდხანს უნდა სიცოცხლე, ცოლი უნდა შეირთოს უეჭველად, და ამასთან რაც ადრე შეირთავს, მით უკეთესია. ამას გარდა სიცოცხლის სიხანგრძლივე გვარმაც იცის, მემკვიდრეობითმა თვისებამ. იმპერატორს ვილჰელმს ძნელად თუ ამდენს ხანს ეცოცხლა, ჰოჰენცოლერნების გვარისა რომ არა ყოფილიყო. ამის წყალობით, რომ გრაფები მოსტოი-ფერეტტი ას-ას წელიწადს სცოცხლობენ, პაპა პია მე-IX, ამ გვარის წევრმა, 86 წლამდე იცოცხლა.

წმინდა ჰაერზედ მომუშავენი და მშრომელნი უფრო ხანგრძლივ სძლებენ, ვიდრე დახშულს ჰაერში მოჯაფავენი. ქონებისა და ხელობის კვალობაზედ რომ გავარჩიოთ, აღმოჩნდება, რომ სამღვდელოება, ფულის პატრონნი და საზოგადოდ ისინი, რომელთაც დიდი ადგილი უჭირავთ, ორთა შუა რიცხვით, 65 წლამდე სცოცხლობენ, ვაჭრები—62 წ., სოფლელნი—61 წ., ჯარის-კაცნი—69 წ., გადამწერალნი და ვექილნი—58 წ., მხატვარნი და მწერალნი—57 წ., სკოლის მასწავლებელნი—56 წ., ექიმები—54 წ., ხოლო ხელოსნები და ქარხნებში მომუშავენი-კი 44 წელსაც ძლივს მიაღწევენ ხოლმე. ამიტომაც ვისაც ხანგრძლივ ჰსურს ამ ქვეყნად სიცოცხლით დატკბობა, სამღვდელო კაცად ყოფნას უნდა ეტანებოდეს. კარგია აგრეთვე კაპიტალისტობა და ან მინისტრობა. გონებრივს შრომას მდგარი უფრო დიდხანს სცხოვრობს სხვა მუშაკაცზედ.

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ, დოქტორის აზრით, ამ საუკუნეში ადამიანნი, ორთა შუა რიცხვით, თითქმის ერთი-ორად უფრო ხანგრძლივ სცოცხლობენ, ვიდრე აქამდე სცოცხლობდნენ. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ ებრაელნი უფრო დიდხანს სძლებენ ქრისტიანებსა, მაჰმადიანებსა და კერპთ თაყვანის-მცემლებზედ. ეს სოცარი ამბავი სარწმუნოების განსხვავებას-კი არ უნდა მიეწეროს, არამედ იმას, რომ ებრაელნი უფრო ზომიერად სცხოვრობენ და სიმთვრალე არ უყვართ. მთელს ევროპაში ჯანისათვის უფრო ის ადგილებია მარგებელი, სადაც ამინდმა ხშირად არ იცის ფერის ცვლა და რომელიც ზღვას ახლოს მდებარეობს.

თუმცა საზოგადოდ სიკვდილს არავინ არის მოწადინებული, ადამიანი ვერ უფრთხილდება თავისს სიცოცხლეს ჯეროვანად. უმეტესად იგი თითონვე იმოკლებს სიცოცხლეს, თითონვე ისწრაფებს ხანს ამ ქვეყნად ყოფნისას. მართალია, სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ხელოვნებაც არის ამ ქვეყნად, მაგრამ ეს ხელოვნება რომელისამე ელექსირის ხმარება-კი არ არის, არამედ ჰიგიენის თანახმად ცხოვრებაა. ვენეციელი კორნარო, რომელმაც 104 წელიწადი იცოცხლა, ორმოცის წლიდგან დაწყებული მხოლოდ 72 მისხალს საჭმელსა და 84 მისხალს სასმელს ჰხმარობდა. სხვებს-კი, რომელთაც ხანგრძლივე იცოცხლეს, მაგალითებრ, ბრილსა და სავარენს, ძალიან უყვარდათ ჭამა-სმა. ასე რომ ამ მხრითაც ადამიანი ზომიერებას უნდა დაადგეს, არც მოიკლოს საჭმელი და არც მოიჭარბოს.

ისტორია და სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ადამიანს გაცილებით უფრო დიდხანს შეუძლიან ცხოვრება, ვიდრე ზოგიერთსა ჰგონია. ძველის ძველს ამბებსაც რომ არ მივმართოთ, ამის დასასაბუთებლად საკმაოა გავიხსენოთ, რომ 1635 წ. ინგლისში ერთი პატივცემული მოხუცი 150 წლისა გარდაიცვალა. ეს მოხუცი 120 წლისა როცა შესრულდა, ჯერ კიდევ ისეთს ჯანსა და ღონეზედ იყო, რომ მეორე ცოლი შეირთო. ერთმა ინგლისელმა ლორდმა სასახლეში მიიყვანა ეს მოხუცი, მაგრამ ეს კაცი, სასახლის მშვენიერს სადილსა და საუკეთესო ღვინოს უჩვეული, მეტის-მეტად გამოძღა და ამან გადიტანა. ეს უბედურება რომ არ დამართოდა, ისეთის მკვიდრისა და ჯან-საღის აგებულობისა იყო, რომ შეიძლება ორმოცოდე წელიწადი კიდევ ეცოცხლა. ერთმა 142 წლის ნორვეგიელმა, რომელიც 1770 წ. დაიხრჩო თევზაობის დროს, 111 წლისამ შეირთო მეორე ცოლი, ისიც გამოიტირა და დაინიშნა ერთს თვრამეტის წლის უმაწვილს ქალზედ, მაგრამ ქორწილს ვეღარ ეღირსა და სწორედ ქორწინების წინა დღეს აღელვებულმა ზღვის ტალღებმა იმსხვერპლა. ასის წლის მოხუცი დედაკაცი და მამაკაცი ჩვენს დროსაც არ არის იშვიათი. მაგალითებრ, 1876 წ. ინგლისში 57 კაცი ას წელიწადს გადაცილებული ითვლებოდა და 592 კაცი ოთხმოც-დათხუთმეტ წელიწადს.

## წვრილი ამბები

ჩრდილო ამერიკის ერთს პატარა ქვეყანაში, უტახში, ცალკე ქალაქი და ცალკე სახელმწიფო გააშენეს ეგრედ წოდებულმა „მორმონებმა". ამ ხალხმა სახელ წოდება იმიტომ მიიღეს, რომ ნამდვილ ქრისტიანობის მქადაგებლად და მოციქულად სწამთ „მორმონი", რომელიც იმათის სიტყვით უკვე მეოთხე საუკუნის დამდეგს ავრცელებდა ამერიკაში ქრისტეს სარწმუნოებას. „მორმონებს" მრავალი მიმხრე ჰყავთ ამერიკაში და ევროპის სხვა-და-სხვა ქვეყნებში. იმათი ცხოვრება ბევრით განსხვავდება სხვა ევროპიელ ხალხთა ცხოვრებისაგან, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს ამნაირ განსხვავების შესახებ ვილაპარაკებთ. მორმონ ქალს, რამდენიც უნდა, იმდენი ქმარი შეუძლია იყოლიოს. აი რასა სწერს ამ ჩვეულების შესახებ „North Americ. Review"-ში ერთი მორმონი ქალი სუზა ბეტცი: ჩრდილო ამერიკაში დედაკაცთა რიცხვი 750,000-ით აღემატება მამაკაცთა რიცხვს და ამიტომ ერთ ცოლ-ქმრობის გამო ეს ამოდენა ქალი უქმროდ და უშთამომავლოდ იღუპებაო. არ გეგონოსთ, რომ მრავალ ცოლობით სუსტი ჩამომავლობა წარმოსდგესო: პირ-იქით, ჩვენს საზოგადოებაში სანთლითაც ვერ ნახავ ვერც სუსტის აგებულების კაცს, ვერც მახინჯს და ვერც ჭკუა-შეშლილსო: ყველა მრთელია და მაგარი როგორც ტანით, აგრეთვე გონებითო. მამაჩემს სამოც-დაცამეტი შვილი ჰყავდაო, მათ შორის ორმოც-და თექვსმეტი ცოცხლები ვართო და არც ერთს, არც გარდაცვლილებს და არც ცოცხლებს არავითარი ნაკლი არ გვქონიაო. ამიტომაო, განაგრძობს მორმონი ქალი, რომელი ხალხიც ამ ჩვეულებას შემოიღებს, ყოველის-ფრით გაძლიერდება და გაუკეთესდებაო. გარდა ამისა თუ რომელსამე სახელმწიფოს 800 მილიონ ხალხის რჩენა შეუძლია და მხოლოდ 80 მილიონი-კი ასხიაო, ხუ თუ ეს გარემოება საზარალო არ არის წარმოების და კულტურის აღყვავებისათვისო? ერთსა და იმავე გარემოებაში რომ 80 მილიონი და 800 მილიონი ხალხი ჩააყენო, რასაკვირველია, რომ 800 მილიონში მეტი გონების-მოძრაობა და აზროვნობა დატრიალდება, რადგანაც ერთი-ათად მეტი კაცი მოჰკიდებს ხელს მეცნიერებისა და ხელოვნების შესწავლასო. იქნება ეგონოს ვისმეო, იკითხავს ბეტცი, რომ მრავალ ცოლობით ცოლ-ქმრული სიყვარული აღარ იქნებაო. მაგრამ „ქვეყნად არსად არ უყვართ ცოლებს ქმრები და ქმრებს ცოლები, ისე, როგორც უტახშიო. ძნელია გამოსათქმელად, თუ რა ნაირის სიყვარულით ეპყრობა მამა თითოეულს თავის შვილს, ან თითოეულს თავის ცოლს. ცოლ-ქმარნი მუდამ იმას სცდილობენ, ერთმანეთს თავი მოაწონონ, ერთმანეთს ასიამოვნონ, ერთმანეთს გადააჭარბონ სიყვარულითა და გულის ლმობიერებით, და ამის გამო ისეთის ბედნიერებით ატკბობენ ერთმანეთს, რომელსაც სიზმარშიაც ვერ ნახვენ იმ ქვეყნის ქალები ან კაცები, რომელთაც ერთ-ცოლობა აქვთ ჩვეულებადაო". გარდა ამისა რადგანაც თითოეულს ცოლს ოჯახის მოწყობის ზრუნვა და დარდი ძალიან უადვილდება, ბევრი თავისუფალი დრო რჩება თავის აზრის გაფართოებისა და საზოგადო მოღვაწეობისათვის და ადვილად შეუძლია მოემზადოს ექიმად, პროფესორად და სხ. ამიტომ იმედი მაქვს, რომ მორმონების ჩვეულება მომავალში მთელს კაცობრიობას მოედება, რადგანაც იგი ბურჯია კაცობრიობის განათლებისა და პროგრესისაო.

## დეპეშა

3 მაისი

პეტერბურგი. გუშინ სერბიის ელჩი სიმიჩი ხელმწიფე იმპერატორს გამოეთხოვა და გადასცა იმის ქაღალდი, რომ უკანვე მიხმობენო.

უმაღლესად ნაბრძანები იქმნა, რომ მომავალ სამოსწავლო წლისათვის პეტრეს სამკურნალო აკადემიაში სტუდენტებს ნულარ მიიღებთო.

პოლკოვნიკის ლევაშევის მაგიერ, რომელიც მე-31 ქვეითა რაზმის უფროსად დაინიშნა, იმიერ-კასპიის ოლქის ჯარის შტაბის უფროსად გამწესდა პოლკოვნიკი ფტოროვი და ამასთან გენერალ-მაიორობაც ებოძა.

„Нов. Время" ამბობს: უკვე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მფარველობა გაუწიონ რუსეთის დროშიანს საეაჭრო ნაოსნობას და აგრეთვე ნავების კეთების საქმეს რუსეთშიო. იმედი აქვთ, რომ ეს საგანი მაგარ საფუძველზედ იქნება დაყენებულიო.

იმავე გაზეთს აუწყებენ, რომ პორტამ ბრძანება გასცა, უსკიუბიდგან იქ შეყრილი ბოლგარიის ეპისკოპოსები განდევნეთ და სტამბოლში ჩამოიყვანეთო.

იმავე გაზეთს გაუგონია, რომ დამტკიცებულ იქმნა წესდება მოსკოვის სლავიანების კლუბისა, რომელსაც საგნად აქვს დამოკიდებულება ჩამოაგდოს მოსკოვში მცხოვრებთა და რუსეთში მოსულთა სლავიანთა და დასავლეთ

---

...ეშმაკსა გვანდა, მერე რის ვაი-ვაგლახით მისთხოვდა დედა შენი მამა შენს! მერე ხალხში სცხვენოდა გამოსვლა, ქვეყანა უკან სულ (ყურში ჩასძახებს) ...როს მისძახოდა! (ხარხარებს)

იაგორა. (იქით დაიწევს) შე ეშმაკის კერძო, თავს არ დამანებებ? მაგრამ რა გელაპარაკო? (აპირობს წასვლას).

თოროზა. ეეე, ქუდი სად მიგაქ, განა ბებია შენის თოფრაა? (ეჭიდება).

ჭურკალა. რაზბოინიკობა არ იყოს!

იაგორა. (მოიხდის ქუდს და გადაგდებს) აჰათ, თქვე პაქარნებო!

თოროზა. არა, ეგ ჯერი არ არი! (ეწევიან ორივენი) მოი აქ ახლო! (კალთებში ეწევიან) ეხლავ ბაზარნიკს დაუძახებ, რო პოლიცაში ჩაგსვას ქუდის მოპარვისთვინ.

იაგორა. (გამოჰგლეჯს კალთებს) მომშვით, ოხრებო!

თოროზა. რა ბიჭი ხარ! ბაზარნიკ! ბაზარნიკ! ქურდი დაიჭირეთ, ჰარა! (დაიწყრენ).

ჭურკალა. ჰა, სად მიხვალ? ბაზარნიკ! ბაზარნიკ! (დარჩო დუქნიდამ მოდის).

დარჩო. კარგი, ბიჭო, გეყოფათ ხუმრობა!

ჭურკალა. მოი, თოროზ, გაუშვათ იმ პირობით-კი, რო თავის რევოლვერი გვაჩვენოს. (გაუშვებს იაგორას)

თოროზა (გაუშვებს იაგორას). ჰო, კარგი, იაგორ, ქურდობას გაპატიებთ, თუ მაგ ეშმაკის მაშინას დაგვანახვებ.

იაგორა. რა გინდა, ბიჭო, ჩემგან, თავს არ დამანებებ?

თოროზა. იაგორჯან, შენი ადრე და მალე სიკვდილი მინდა, სხვა არაფერი, შენ სიკვდილამდინ-კი ეგ რევოლვერი მაჩვენე! მაგრამ, რო გქონდეს, ჯიბეში ჩაიდებ? აქამდინ შიშისაგან მკვდარი იქნებოდი!

ჭურკალა. მაშ, ბიჭო, ეშინიან, თორე არ ამაილებდა?

იაგორა. მამა გიცხონდათ! მშიშრები თქვენა ხართ!

თოროზა (აჯავრებს სომხურ კილოს) ვა, ესტიმუტიკარა-ტო! ვერ უყურებს ეს სულის გლახა რეებს ამბობს? პარუნ იაგორ, გინდა ერთი პაპიშენის ამბავი გითხრა? (იაგორა გაჯავრებით აპირობს წასვლას, დაიჭერს) არა, ძამიავ, ჯერ ყური დამიგდე!

ჭურკალა. ჰო, გაიგე-და, გამოგადგება!

დარჩო. გაუშვით, ბიჭებო, ცოდოა!

იაგორა (იქით) ერა ცეცხლში ჩავვარდი! (თოროზას) გამიშვი-მეთქი!

თოროზა. ძალიანაც ნუ ყვირი! ყური დამიგდე, უნდა გიამბო! დარჩო, შენც ხო გეცოდინება; იაგორასაც ეცოდინება, პატარობას გაიგებდა. ახლა, ბიჭო, (იაგორა ზურგს შეუშვებს) მოსულა ამ შერცხვენებულის პაპა თელავში და ერთ სადღაც დუქანში რუმბი არ დაუნახავს, ერთი შეშინებია, ერთი შეშინებია საწყალ კროს, რო რაღა გითხრა! თუ, ნეტავ, რა ნადირია, ამბობს; იფიქრა, იფიქრა და ამბობს, თუ მგელია, კუდგძელი უნდა იყოსო, თუ ტურაა და ტუჩ-მურაო! მოი, მამაჯან, ერთი შტუკა უყოთო, აილო, ბიჭო, ხანჯალი დაჰკრა, რუმბიდამ წითელმა ღვინომ გამოხეთქა და სახეში ეცა! შეეშინდა კროს და გარბის,—მერე როგორ გარბის? გარბის ისე, როგორც კურდღლისაგან შეშინებული ტერა! გახსომს? არ გეხსომება, ჯერ შენ სად იყავ! (ხარხარებს)

ჭურკალა (ხარხარებს) გონი ასე ეგონა, რუმბი უკან მამდევსო!

დარჩო (სიცილს იჭერს) გეყოფათ ლაზღანდარობა! (თოროზა და ჭურკალა ხარხარებენ)

იაგორა. დიდი ვირები ყოფილხართ! (მიდის მარცხნივ, გზაში არტემა შეეფეთება)

### გამოსვლა IX

იგინივე და არტემა

გზაში ელობება იაგორას; მარჯვენა კალთა მარცხენა იღლიაში აქვს ამოდებული, გაჯავრებული სახე აქვს. იაგორა გზას აუქცევს, არტემა კიდევ ჩაუდგება გზაში. თოროზა და ჭურკალა ხარხარს იჭერენ, ანიშნებენ ერთმანეთს და უხმოდ იცინიან.

არტემა (ხელს დაუჭერს). დიდიხანია შენი ნახვა მინდოდა, შენთან ბევრი სალაპარაკო მაქვს; წამო დავსხდეთ!

იაგორა. გამიშვი, მე შენი თავი არა მაქვს.

არტემა (დააბრუნებს) გეუბნები, დაბრუნდი-მეთქი, თორე მეტი ლაპარაკიც არ შემიძლიან! დაჯე! (თავის ადგილას დასვამს)

თოროზა (არტემას ყურში). უმოწმეოდ გინდა სცემო? ჩვენ წავალთ, დარჩოსაც გავიტყუებთ.

არტემა. ღირსია ხელი გაეითხუნო? მერე ამ ხელით პური როგორღა ავილო?

თოროზა. არტემ, ამაღამ ჩვენ როვიცით, იმ ბაღში ვახშამი გვაქვს დუდუკით; ჩამაიარე, ვანოც დაითრიე, ნუ დაღონდები, იაგორას ხუთ ტყავს ავაძრობთ!

არტემა. კარგი, ჩამოვივლი, ვანოსი-კი არ ვიცი.

ჭურკალა. უეჭველად მოდი, არ ინანებ!

თოროზა. გელით რაღა! მაშ გამარჯვებით! აბა, წამო, დარჩი, შენ დუქანში შევიდეთ, საქმე მაქვს შენთან (დარჩო, თოროზა და შურკალა გადიან უკანა ოთახში)

ან. ბენაშვილი

(შემდეგი იქნება)

და სამხრეთ საზღვარ-გარეთ ს სლავიანთ შორის, აგრეთვე შემწეობა და დახმარება აღმოსავლეთის რუსეთში მყოფს სლავიანებს. ეს კლუბი არავითარ საპოლიტიკო აზრის განხორციელებას არ არის მოწადინებული.

„Новости“ იუწყება, რომ პეტერბურგში განზრახვა აქვთ, დააარსონ ნათესისა დამაზღვეველი საზოგადოება მოუსავლობისაგანაო.

სოფია. პანიცას საქმის გასარჩევად სამხედრო სასამართლო ხვალ მოიყრის თავს, ხოლო საქმის განხილვა-კი, ალბად, ორშაბათამდე გადაიდება. ახლა ყველა ბრალდებულსა ჰყავს დამცველი. პანიცასთვის ორი წარჩინებული ვექილია მოწვეული.

სტამბოლი. გამოცხადებულია ირადე, რომელიც ჰბრძანებს, რომ კუნძულ კრიტის სათადარიგო ჯარის-კაცნი დათხოვნილნი უნდა იქმნენ, რადგან ამ კუნძულზედ უკვე ჩამოვარდა მშვიდობიანობაო.

კენიგსბერგი. სადღესასწაულო სადილზედ იმპერატორმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „ვსვამ პროვინციის კეთილ-დღეობის სადღეგრძელოდ. ღმერთმა ინებოს, რომ აღმოსავლეთ პრუსიამ ომის უბედურება აღარ გამოსცადოს. ხოლო, თუ ღვთის ნებით, იმპერატორი იძულებული შეიქმნა, თავისი საზღვრები დაიცვას, აღმოსავლეთ პრუსიის მხეილი ისევე აგრძნობინებს თავის სიძლიერეს მტერს, როგორც 1870 წ. აგრძნობინაო“.

პარიჟი. 21 მაისამდე მოაწერს ხელს პრეზიდენტი კარნო ჰერცოგის ორლეანელის პატიების ბრძანებაზედ.

4 მაისი

მოსკოვი. გუშინ შუადღისას მოვიდა აქ ასის თავი პეშკოვი. მრავალი აფიცრობა და საერონი ცხენებით და ხალხი ეტლებით გაეიდნენ ქალაქ გარედ მისაგებებლად. მოსკოვიდამ 12 ვერსის მანძილზე, როგორც ქის გზატკეცილის საბაჟოს იქით, პეშკოვს დახვდა ესკადრონი ყაზახებისა ხოროთი, რომელსაც საყვირნი ჰქონდა თან. რაც უფრო უახლოვდება ქალაქს, ხალხი უფრო მატულობდა; ქუჩები, სახლები და ბანები გაივსო. როგორც ქის საბაჟოდამ ტვერისამდე ხორო უკრავდა საყვირთა. მის შემდეგ ამბობდა სიმღერებს ხორო მომღერალთა და ასე რიგ-რიგით. პეშკოვს ბინა მისცეს დონის ყაზახთა № 1 პოლკის „აფიცერთა საბრანიაში“. გუშინვე პეშკოვი მივიდა სასალმოდ გენერალ გუბერნატორთან და სხვა უფროს კაცებთან. 6 საათ ზე „აფიცერთა საბრანიაში“ გამართულ იქმნა სადილი მის პატივ-საცემლად. დღეს მოსკოვის მოჯირითე-ცხენოსანთა საზოგადოებამ პატივი სცა პეშკოვს და სადილი გაუმართა რესტორანში „Эрмитажъ“. იქ მიართვეს ვერცხლის თასი ამ საზოგადოების წევრთა. პეშკოვი ფიქრობს ორ სამ დღეს დარჩეს მოსკოვში.

ხარკოვი. მოსავალს საზოგადოდ ურიგო პირი არ უჩანს ხარკოვის გუბერნიაში; წვიმა არა იშვიათად მოდის, მაგრამ მოდის ცოტ-ცოტა; ქვავი ძალიან კარგად გადურჩა ზამთარს. შემოდგომური ყანები გადახნეს ზოგიერთს მაზრებში; გაზაფხულის ნათესების ჯეჯილი მშვენიერია.

სევასტოპოლი. 75 ათასა მანათის მოგება 1 მაისს ტირაჟში ერგო ბილეთს საკონდიტროს პატრონისას ორტმანს.

ეკატერინოდარი. გუშინ მობძანდა აქ იტალიის მემკვიდრე პრინცი და 3 საათზე გაემგზავრა ნოვოროსიისკს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და დათანხმდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღოს ორდენი იაპონიისა „ამომავალი მზე“ 1-ის ხარისხისა.

საგეოგრაფიო საზოგადოება აპირობს მეუდგეს ბეჭდვას ჟურნალისას „Метеорологическій Вѣстникъ“.

პეტერბურგის ბირჟა, 1 მაისი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 05 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 141 | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | 1 | 08 | — | „ | — | „ |
| 5% შირკელის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 224 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . | 214½ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . | 213 | | — | „ | 210¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ - მადიდებელ ეკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები-

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ძმა ძმის მტერი, მოთხრობა წითლიძისა . . . . . | „ | 10 კ. |
| უბის წიგნი, ვალ. გუნიასი 1890 წ. . . . . . . | „ | 40 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . | „ | 45 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . . . | „ | 25 |
| წმინდა ნინო. . . . . . | „ | 2 |
| ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა . . . . . | „ | 2 |
| ესთერი . . . . . . . | „ | 5 |
| დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, დ. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 30 |
| ბეჟანიანი. . . . . . | „ | 15 |
| ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . . . . | „ | 25 |
| განკიცხული ა. მოჩხუბარიძისა . . . . . . . | „ | 60 |

სასტუმრო
„პურ-ღვინო“
(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითვეულად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისივე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადლესისა და ყიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკიორები) და საზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეთები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს აეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

(25—17)



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის
არყნის ხის ბალზამი დ-რის ლენგილიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად ერთ აგენტის გასილ აურისისხას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩაზედ, 18—19. Васурихъ

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ვ. გრიგნათან, გ. ა პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(19—4)

კბილი ალარავის წამოსტკივდება
თუ იხმარებენ
ღირსთა მამათა ბენედიკტელთა გამოგონილს ელიქსირს
სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენ მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—9)

| | |
|---|---|
| ბამბა „გავანნა“ თამბაქოს მხმარებელთათვის. | ეს ბამბა, პაპიროზში ჩადებული, სპობს ნიკოტინსა და სხვა მავნე ნივთიერებას, ამითი იცავს თამბაქოს მხმარებელის ჯანის სიმრთელეს და აგრეთვე თამბაქოს გემოს უკეთებს და უუმჯობესებს. უუთი ღირს 10 კაპ. ბ-ხთ სხვა ქვეყნელთ 3 მანათად გაეგზავნებათ 25 უუთი. ვაჭრებს შეღავათიანად და ნაკლებ ფასად დაეთმობათ. |
| საპონი „საპოლი“ სარეცხისათვის უგნებელია. | სარეცხის გასარეცხად ცივს წყალში თითო ნაჭერი, ნახევარი ნაჭერი. 30 კაპ. 15 კაპ. |
| პეწიანი ლაქი ... | ქალისა და ყრმის ფეხთ საცმელისა, ცხენის იარაღისა და სხვათათვის. თითო შუშა ჰღირს 40 კაპ. |
| ფხვნილი ბრილიანტინი რედეზისის ტრიესტში. | ყოველ გვარ ლითონთა საწმენდელად ერთის შეკვრის ½ ¼ ⅛ — 30 15 8 კაპ. |
| მსოფლიო ცემენტი ადოლფ ბერისა. | ფაიფურისა, მინისა, ხისა და სხვათა შესაწებებლად. შუშა ღირს 25 კაპ. |
| პეწიანი სახამებელი ადოლფ ბერისა. | ჩვეულებრივს სახამებელში შესარევად. ერთი შეკვრა ღირს 26 კაპ. |

ისყიდება ყველა სააფთიაქო და საწვრილმანო დუქანში.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ალექსანდრე ვენცელთან, ს.-პეტერბურგს, ეკატერინეს უბანი, სახ. № 26. მოსკოვს, კარეტნაია სადოვაია, სახ. მალინინისა.

(8—1)

БРЯНСКЪ (Орловск. губ.)
ПОДПИСКА ПРОДОЛЖАЕТСЯ НА 1890 ГОДЪ
на АКУШЕРСКО-ФЕЛЬДШЕРСКІЙ ПОПУЛЯРНО-МЕДИЦИНСКІЙ ЖУРНАЛЪ
„АКУШЕРКА“
На годъ 3 руб., ½ года 2 руб., 3 мѣс. 1 руб.
Подписка принимается:
Въ редакціи журн. „АКУШЕРКА“. БРЯНСКЪ, Орловской губ.
Въ книжныхъ магазинахъ:
Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ, К. РИККЕРЪ, Невскій проспектъ, 14.
Въ МОСКВѢ, А. ЛАНГЪ, Кузнецкій мостъ.
Редакторъ-издатель акушеръ АМБРОЖЕВИЧЪ.
(3—2)


Дов ценз Тифлисъ, 4-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე